

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N9

ქ. ლანჩხუთი

20 აპრილი, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტიძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთ. სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი მაკა გოგიჩაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N50 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი პ.ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N26 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ი. გვარჯალაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ი. გვარჯალაძე/

4. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ი. გვარჯალაძე/

5. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ი. გვარჯალაძე/

6. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჯანაშია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N94 განკარგულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჯანაშია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ორაგველიძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ზ. აფხაზავა /

10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2010 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი პ. ფირცხალაიშვილი /

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი პ. ფირცხალაიშვილი /

12. „შპს „ლიმონზე“ რიცხული ბიუჯეტის ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობაზე თანხმობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი პ. ფირცხალაიშვილი /

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის N41 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი პ. ფირცხალაიშვილი/

14. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N9 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ზ. აფხაზავა/

15. სხვადასხვა.

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღთან დაკავშირებით ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: **საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს მ/წ 29 აპრილი**

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N50 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტზე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის N201 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოეყო 685 466 ლარი სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად, რომელიც გათავალისწინებული იქნება ბიუჯეტში ერთ ორგანიზაციულ კოდში და პროექტების დაზუსტების შემდეგ დამატებით იქნება წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი ღონისძიებების მიხედვით. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილს N735 განკარგულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 500 000 ლარი. მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტი გაიზრდება, როგორც შემოსავლის ისე ხარჯვით ნაწილში 1 185 466 ლარით და ბიუჯეტი განისაზღვრება 6 096 531 ლარით.

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა წარმოადგინა დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დადგენილების პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. კომისიის მიერ დადგენილების პროექტი მიჩნეულ იქნა მომზადებულად.

ბიუროს წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) საკითხი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N26 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის N153 დადგენილებისა და საქართველოს შ.ს.ს. სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის 2011 წლის 23 თებერვლის N226487 წერილის შესაბამისად სახანძრო დაცვის სამსახურს შეეცვალა ფუნქციები და იგი ჩამოყალიბდა, როგორც სახანძრო-სამაშველო სამსახური. აღნიშნული

საკითხის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა და კომისიის მიერ საკითხი მიჩნეულ იქნა მომზადებულად.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დადგენილების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში ცვლილება განაპირობა ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის და არქიტექტურის სამსახურში საპროექტო განყოფილების შექმნის აუცილებლობამ. განყოფილებაში გათვალისწინებულია განყოფილების უფროსი და სამი სპეციალისტი. კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი მიჩნეულ იქნა მომზადებულად.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დადგენილების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მომზადება განაპირობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის და სახანძრო დაცვის სამსახურების სახელწოდებების ცვლილებამ. გამგეობის დებულებაში მუხლი N13 „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს, როგორც ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახური, ხოლო ამავე მუხლის მეექვსე ქვეპუნქტი, როგორც სახანძრო-სამაშველო სამსახური.

კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა და საკითხი მიჩნეულ იქნა მომზადებულად

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) დადგენილების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილება აწესრიგებს პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის წესს. სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საზღვრებში სახანძრო უსაფრთხოებას და საგანგებო სიტუაციებში სამაშველო ღონისძიებების განხორციელებას. მანვე განმარტა,

რომ აღნიშნული წესით დგინდება მოსამსახურეების უფლებები და მოვალეობები, მოსამსახურეთა პროფესიული მომზადება. მოსამსახურეთა თანამდებობები და ა. შ.

პროექტის ირგვლის კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა. საკითხი მიჩნეულ იქნა მომზადებულად.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) დადგენილების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს დადგენილების პროექტის ირგვლივ გამოითქვა შემდეგი შენიშვნები:

– სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის დამტკიცების თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში „ლანჩხუთის რესურსცენტრის უფროსის მოხსენებითი ბარათის“ ნაცვლად უნდა ეწეროს „ლანჩხუთის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე“.

– მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სამსახური, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლანჩხუთის რესურსცენტრთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას იმ სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომლებშიც ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურეობის პროგრამა და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს“.

– მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსის მ. გოგიჩაიშვილის მიერ შემუშავებულ იქნას სტიქიის

შედეგად დაზარალებულთა დახმარების პროგრამის ამუშავების ახალი სახე-უკიდურესად შეჭირვებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების შექმნის პროგრამა, რისთვისაც მოახდინოს ამ პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილი 30000 ლარის განაწილება და შემუშავებული ახალი ვერსია წარმოადგინოს კომისიის სხდომაზე განსახილველად.

პროექტის ირგვლის კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა. საკითხი მიჩნეულ იქნა მომზადებულად.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) დადგენილების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი მაკა გოგიჩაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N94 განკარგულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე” სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსმა მაკა გოგიჩაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ განკარგულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება შემოსული განცხადებების ანალიზიდან გამომდინარე. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწყერით, ხანძრითა და სხვა სახის სტიქიის შედეგად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის (თავშესაფრით უზრუნველყოფა) პროგრამის ფარგლებში გარდა საცხოვრებელი სახლის ქირავნობისა, გათვალისწინებულია ასევე მუნიციპალიტეტის მიერ საცხოვრებელი სახლის შექმნა და ბენეფიციარისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემა. გარდა ამისა, პროექტით გათვალისწინებულია სოციალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულაც 150 000–მდეა.

განკარგულების პროექტის მიმართ ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი მაკა გოგიჩაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგენილებით მტკიცდება გამოყენებული და ამორტიზირებული ქონების ჩამოწერის წესი, ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის (შენობა–ნაგებობისა და მოწყობილობათა) ღირებულების დადგენის აქტის ფორმა (დანართი N2), ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა აქტიური ნაწილის (მანქანა–დანადგარების) ღირებულების დადგენის აქტის ფორმა (დანართი N3) და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტი (დანართი N4). მანვე განმარტა, რომ ჩამოწერა ხდება საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, რომელიც იქმნება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე. კომისიის მუშაობაში საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იქნას სერტიფიცირებული აუდიტორი–ექსპერტი.

პროექტის ირგვლის კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა. საკითხი მიჩნეულ იქნა მომზადებულად.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავამ. საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. 2011 წლის სამუშაო გეგმის განხილვისას გამოითქვა შემდეგი შენიშვნა

1. გეგმის მე-5 პუნქტში, რომელიც გულისხმობს საკრებულოს კომისიების სხდომების ჩატარებას, პერიოდულად საკრებულოს რეგლამენტის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მითითებული უნდა იყოს თვეში ორჯერ,

2. 26-ე პუნქტში, რომელიც გულისხმობს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავებას, საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის გრაფაში საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიასთან ერთად უნდა იყოს საკრებულოს ყველა კომისია.

3. სამუშაო გეგმაში საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის გრაფაში ყველგან უნდა იყოს მითითებული თანამდებობები და არა კონკრეტული თანამდებობის პირები.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) საკითხი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინეძე კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მათე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2010 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა წარმოადგინა კომისიის დასკვნა. მან აღნიშნა, რომ კომისიამ იმსჯელა თავის დაქვემდებარებაში მყოფი გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურების მიერ 2010 წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობაზე. გასული წლის ბიუჯეტის გეგმა შესრულებულია 100.8%-ით, დაფინანსებულია ყველა საბიუჯეტო ვალდებულება და პროგრამა, შესყიდვების სამსახურის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მომზადებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით არის განხორციელებული ყველა შესყიდვა, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაჯარიმებულია ოთხი შემსრულებელი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამსახურის მიერ შესყიდვების სააგენტოს დროულად წარედგინება შესრულების ანგარიშები. კომისიამ გარკვეულ აზრთა გაზიარების შემდეგ აღნიშნული სამსახურების მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა და საკითხი მიჩნეულ იქნა მომზადებულად. საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანშიამ წარმოადგინა კომისიის დასკვნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2010 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის თაობაზე“ გამოითქვა შემდეგი შენიშვნები:

– გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის ანგარიშში უნდა ჩანდეს, თუ რამდენი უპატრონო მიცვალებული დაიკრძალა და ამ მიზნით რა თანხა დაიხარჯა.

– მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მთლიანად მოიცავს მხოლოდ საფინანსო ანგარიშს და არა ჩატარებული ღონიძირებების ანალიზს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ, ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანმა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძემ აღნიშნეს, რომ საკითხთან დაკავშირებით კომისიების სხდომებზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) საკითხი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. მან აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 87-ე მუხლის შესაბამისად და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას.

- ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით
- ბ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან
- გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის
- დ) ინფორმაციას სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფისა და ხარჯვის შესახებ
- ე) ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ამ ორიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების შესახებ.

წარმოდგელი აგრეთვე აუდიტის დასკვნა, რომელიც რამდენიმე ტექნიკური ხასიათის შენიშვნას მოიცავს და საერთო ჯამში დადებითად აფასებს საფინანსო სამსახურის მუშაობას.

კომისიის წევრებმა საკითხი მიიჩნიეს მომზადებულად.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ აღნიშნა, რომ მართალია დაცულია საკრებულოს მიერ განსახილველი ნორმატიული აქტების პროექტების, ბიუროსა და კომისიების სხდომათა გადაწყვეტილებების, საკრებულოს დადგენილებებისა და განკარგულებების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე საკრებულოს დებულების 135-ე მუხლის მოთხოვნები და ყველა დოკუმენტი თავსდება, როგორც სპეციალურ საინფორმაციო დაფაზე, ასევე მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, „თვითმმართველი ერთეულის ვებ-გვერდის დებულებით“ გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე მოქალაქეების აქტივობა საჯარო განხილვებში არ შეინიშნება. ბიუჯეტის შესახებ მასალები უნდა გამოქვეყნდეს ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე. ამასთანავე ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეებმა, აპარატმა უნდა უზრუნველყონ მოსახლეობის, ამომრჩეველთა მეტი აქტივობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ დაავალა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავას შეიმუშაოს წინადადებები საკრებულოს ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების პროექტების საჯაროობის უფრო მეტად უზრუნველსაყოფად.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) საკითხი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით „შპს „ლიმონზე“ რიცხული ბიუჯეტის ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობაზე თანხმობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. მან აღნიშნა, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გასცეს თანხმობა

შ.პ.ს „ლიმონის“ ბიუჯეტის ვადაგადაცილებულ საგადასახდო დავალიანებების რესტრუქტურირებაზე.

კომისიაში წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდეგ რიცხული დავალიანება შეფასდა, როგორც ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე. აუცილებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გასცეს თანხმობა შ.პ.ს. „ლიმონს“ ვალების რესტრუქტურირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, გაყინვა 2 წელი, გადავადება 3 წელი (სულ ვალი 6 მარტის მდგომარეობით შეადგენს 84480 ლარს). აღნიშნულის დაკმაყოფილების შემთხვევაში შ.პ.ს. „ლიმონს“ მიეცემა საშუალება აამოქმედოს საწარმო, მიიღოს მოსახლეობიდან შესაბამისი ნედლეული და აწარმოოს პროდუქცია, რაც შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

კომისიაში განცხადების გაცნობისა და განხილვის შემდეგ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაკმაყოფილდეს შ.პ.ს „ლიმონის“ დირექტორის თამაზ იმნაიშვილის განცხადება.

კომისიის წევრებმა განკარგულების პროექტი მიიჩნიეს მომზადებულად

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის N41 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მაია აფხაზავამ.

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა

წარმოადგინა კომისიის დასკვნა, რომელიშიც აღნიშნულია, რომ კომისიის წევრების მიერ საკითხი მიჩნეულ იქნა მომზადებულად.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N9 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავამ.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) განკარგულების პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას მ/წ 29 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

თანამომხსენებლებთან დაკავშირებით ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

თანამომხსენებლებად განისაზღვროს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვისათვის განსაზღვრული ძირითადი კომისიის თავმჯდომარეები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტბე

საკრებულოს აპარატის უფროსი:

/ნ. ძიძიგური/

თანაშემწე:

/დ.დოლიძე/

შემსრულებელი:

საკრებულოს მთ.სპეციალისტი საოქმო

და საორგანიზაციო საკითხებში

/მ. კეკელიძე/